მობილური აპლიკაცია SCAapp				
ინიციატორი	*ლანა მუკუტაძე* *ქ. ბათუმის N4 საჯარო სკოლა*			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	*არსებული სიტუაცია შემდეგნაირია: ის, ვინც აქტიურად არის ჩართული და თვალყურს ადევნებს საბჭოს საქმიანობას, მათთვის გამარტივდება ინფორმაციაზე წვდომა აპლიკაციის მეშვეობით და მათთვის, ვისაც საბჭოს საქმიანობის მიმართ დაბალი ინტერესი აქვს, ციფრული ტექნოლოგია გახდება ერთგვარი ბიძგი, გახდნენ უფრო ინფორმირებულები, მიმბაძველობის (ე.წ. ტრენდულობის) თვალსაზრისით.* *მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციაზე გამოქვეყნებული იქნება ყველა ინფორმაცია, რომელიც საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა ინტეგრირებული, ვფიქრობ, აპლიკაციის მეშვეობით კიდევ უფრო გამარტივდება აღნიშნულ ინფორმაციებზე წვდომა.*			
პრობლემის გადაწყვეტის გზა	*მობილური აპლიკაცია შესანიშნავი გამოსავალია, რათა მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ. ამასთან მისი გამოყენება მარტივი იქნება და საშუალება გვექნება, თვალყური ვადევნოთ საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობას, მათ შორის, საბჭოს სესიების, კომიტეტის მოსმენების, ბიუროს სხდომების და ახალი კანონმდებლობების განხილვის თარიღების შესახებ.*			
მთავარი მიზანი	*იდეის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, კერძოდ მობილური აპლიკაციის SCAapp-ს შექმნით, ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს უმაღლესი საბჭოს საქმიანობა.*			
ღია მმართველობის პრინციპები *მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე, ჩამოთვლილიდან რომელ პრინციპს შეესაბამება ეს ვალდებულება*	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდე-ბულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	X	X	X	X
შესაბამისი SDG მიზანი *არასავალდებულო ველი*	*ტექნოლოგიების დანერგვა საკანონმდებლო ორგანოში*			
განხორციელების ეტაპები	**დაწყება:**	**დასრულება:**	**ინდიკატორი**	
ეტაპი 1 *ბიუჯეტის ცვლილება*	*12.06.2022*	*25.07.2022*		
ეტაპი 2 *SCAapp აპლიკაციის შექმნა*	*25.07.2022*	*25.08.2022*	*საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდის ვიზიტორების რაოდენობა, რომელთა უმრავლესობაც დაიწყებს აპლიკაციით სარგებლობას.*	
ეტაპი 3 *აპლიკაციის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება*	*26.08.2022*	*26.09.2022*		